ტენდერი სათავო ოფისის მწვანე საფარის მოვლის მომსახურების შესყიდვის შესახებ

გამოცხადების თარიღი:	19 ივლისი, 2024
დასრულების თარიღი:	29 ივლისი, 2024 (17:00 საათი)

სს საქართველოს ბანკი აცხადებს ტენდერს, სათავო ოფისის მწვანე საფარის მოვლის მომსახურების შესყიდვის შესახებ. ტენდერში მონაწილეობისთვის და დეტალური ინფორმაციის მისაღებად საჭიროა დაინტერესებულმა კომპანიამ წინადადება წარმოადგინოს ელექტრონული შესყიდვების პლატფორმაზე: https://tenders.ge/

საკონტაქტო პირი

ხატია ითიურიძე
599 39 00 44
khitiuridze@bog.ge

სარჩევი

1. ზოგადი ინფორმაცია / მომსახურების ჩამონათვალი 2
2. კონტრაქტორის ვალდებულებები 2
3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები 3
4. ტენდერის ფარგლებში წარსადგენი სავალდებულო დოკუმენტაცია 3
5. დამატებითი ინფორმაცია 4
6. შეფასების კრიტერიუმები 4

1. ზოგადი ინფორმაცია / მომსახურების ჩამონათვალი

შემსყიდველი საჭიროებს თბილისში, ბანკის სათავო ოფისის (მის: ი.გაგარინის 29ა) ეზოსა და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე საფარისა და მცენარეების მოვლასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის მომსახურების შესყიდვას, კერძოდ:

1. ტერიტორიის გათიბვა (შესაბამისი ტექნიკით) ბალახის შეგროვება/გატანა: გაზაფხული/ზაფხული არაუმეტეს 2 ჯერ კვირაში; შემოდგომა/ზამთარი არაუმეტეს ერთხელ კვირაში.
2. გაზონის დამუშავება სასუქით (აზოტი)
3. ტერიტორიების სარეველებისგან გასუფთავება ყოველკვირეულად; ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, ჰერბიციდით შეწამლვა საკუთარი ხარჯებით.
4. საჭირო უბნების დამატებით მორწყვა.
5. საჭირო უბნების მოფოცხვა.
6. მცენარეების სხვლა, ფორმირება, მოვლა – გამხმარი ფოთლების/ტოტების მოჭრა/ მოცილება, მცენარის მთლიანი იერსახის შენარჩუნებით.
7. მცენარეების გარშემო ნიადაგის შემობარვა (საჭიროების შემთხვევაში) წელიწადში 2-ჯერ, გაზაფხული-შემოდგომა
8. განოყიერება – მცენარეების ზრდის ხელშეწყობის მიზნით, მათი უზრუნველყოფა შესაბამისი სასუქით და მცენარეული საკვებით საკუთარი ხარჯებით წელიწადში 2-ჯერ.
9. გამწვანების ზონების და ნარგავების მონიტორინგი კვალიფიციური პირის მიერ, ყოველკვირეულად
10. მცენარეების კონტროლი დაავადებებზე, საჭიროებისას შეწამლვა/დამუშავება საკუთარი ხარჯებით.
11. სარწყავი სისტემის ყოველკვირეული კონტროლი/მოწესრიგება: მორწყვის სისტემის/გრაფიკის/სპრინკლერების დაფარვის ზონების დარეგულირება ბალახის/მცენარეების სპეციფიკური საჭიროების გათვალისწინებით

! მომსახურების შესრულებით დაინტერესებულ პირებმა უნდა დაგეგმონ ვიზიტი, იმისთვის რომ თავადვე მოახდინონ ტერიტორიის დათვალიერება და შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის და სირთულის შეფასება.

ვიზიტის დასაჯავშნად დაუკავშირდით:
ხატია ითიურიძე
+995 (599) 390044
khitiuridze@bog.ge

მეტი ინფორმაციისთვის გაეცანით შემდეგ დანართებს:
- **დანართი N1** _ ტერიტორიის კვადრატულობა ზონების მიხედვით
- **დანართი N2** _ ფოტოსურათების არქივი ზონების მიხედვით

საკონტრაქტო ვადა: 1 წელი, ავტომატურად 1 წლით გაგრძელების პირობით.

2. კონტრაქტორის ვალდებულებები

კონტრაქტორი ვალდებულია:
- მომსახურება განახორციელოს ბანკთან წინასწარი შეთანხმებით, ბანკისთვის არასამუშაო საათებში/დღეებში:
  - ბანკის სამუშაო დღეები/საათები: ორშაბათი - პარასკევი, 10:00-19:00
- მომსახურება განახორციელოს საკუთარი ინვენტარით/ხელსაწყოებით.
- უზრუნველყოს მოვლის პერიოდში გამხმარი მცენარის ჩანაცვლება იგივე სახეობის, ზომის მცენარით საკუთარი ხარჯებით.
- უზრუნველყოს მოვლის/თიბვის დროს დაზიანებული სარწყავი სისტემის სპრინკლერების შეკეთება საკუთარი ხარჯებით.

- უზრუნველყოს, სარწყავი სისტემის ექსპლუატაცია და საჭიროების შემთხვევაში სარწყავი სისტემის ქსელის განვითარება (ახალი სისტემის მოწყობა; წერტილების დამატება; სარწყავის ან/და წვეთოვანი სისტემის დაგრძელება და ა.შ.), რომლის ანაზღაურებას ბანკი უზრუნველყოფს, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.
- არსებული ხეების, მცენარეების მოჭრა/გადაბელვა/გასხვლა ან/და რაიმე სხვა სახის ინტერვენცია განახორეციელოს ბანკის მხრიდან მოთხოვნის ან/და თანხმობის საფუძველზე.
- უზრუნველყოს მცენარეთა დაცვის საშუალებებისა და სასუქის უსაფრთხოდ გამოყენება.
- დაიცვას მცენარეთა დაცვის საშუალებების, სამუშაო იარაღისა და აალებადი ნივთიერებების შენახვის ნორმები.
- დაიცვას სანიტარული ნორმები.
- პროგნოზირებად, მაგრამ ცვალებად სამუშაო გარემოში ახორციელოს თვითმენეჯმენტი. მართოს საკუთარი და მასზე დაქვემდებარებული პირების საქმიანობა.
- აიღოს პასუხისმგებლობა გარე გამწვანების შეფასებასა და გაუმჯობესებაზე კლიმატურ პირობებს გათვალისწინებით, კვალიფიციური რეკომენდაციების გაცემის სახით.
- უზრუნველყოს საბაღე ტექნიკისა და ინსტრუმენტების გამართულობა და უსაფრთხოება

გარდა ეზოს მოვლის სტანდარტული მომსახურებისა, ბანკს წლის განმავლობაში აქვს საჭიროება მიიღოს დამატებითი მომსახურებები. გთხოვთ განფასება წარმოადგინოთ დანართი 3-ის მიხედვით

3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

- მსგავსი მომსახურების შესაბამისი მასშტაბებით შესრულების გამოცდილება ადგილობრივ ბაზარზე - მინიმუმ 3 წელი.
- მომსახურების დაწყების შესაძლებლობა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღეში.

4. ტენდერის ფარგლებში წარსადგენი სავალდებულო დოკუმენტაცია

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად <u>აუცილებელია</u> ორგანიზაციამ წარმოადგინოს შემდეგი <u>სავალდებულო დოკუმენტაცია:</u>

- **ფინანსური წინადადება**
  - ფინანსური წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს **ყოველთვიური ფიქსირებული საფასურის მითითებით,** რომელიც უნდა მოიცავდეს მომსახურების პირობებში გათვალისწინებულ ყველა მომსახურების შესრულებას.
  - წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში და მოიცავდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს და გადასახდელებს.
  - ანგარიშსწორება განხორციელდება ორმხრივად ხელმოწერილი მ/ჩ აქტის საფუძველზე თვეში ერთხელ.
- **ფინანსური წინადადება დამატებით მომსახურებებზე (დანართი 3)**
  - წლის განმავლობაში შესაძლო დამატებითი მომსახურებების ტარიფები უნდა წარმოადგინოთ დანართი 3-ის საშუალებით. აღნიშნული ტარიფი ფიქსირებული უნდა იყოს საკონტრაქტო პერიოდის განმავლობაში.

- **კომპანიის მოღვაწეობის შესახებ ინფორმაცია,** საქმიანობის მოკლე აღწერილობა, დასაქმებულთა რაოდენობა და კვალიფიკაცია, გამოცდილების შესახებ ინფორმაცია
- **კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია**, კერძოდ:
  - ორგანიზაციის დასახელება / ს.კ
  - მისამართი
  - ხელმძღვანელის სახელი და გვარი

- ხელმძღვანელის ტელეფონის ნომერი
- საკონტაქტო პირის სახელი და გვარი
- საკონტაქტო ტელეფონი / ელ. ფოსტის მისამართი
- ვებ-გვერდი

– **სარეკომენდაციო წერილი -** მინიმუმ 2

5. დამატებითი ინფორმაცია

– პრეტენდენტის წინააღმდეგ არ უნდა მიმდინარეობდეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და პრეტენდენტი არ უნდა იყოს ლიკვიდაციის / რეორგანიზაციის პროცესში.
– ტენდერის განმავლობაში პრეტენდენტს აქვს ვალდებულება მოთხოვნისამებრ წარმოადგინოს ნებისმიერი იურიდიული თუ ფინანსური დოკუმენტი.
– ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს, გააუქმოს ან გადაავადოს ტენდერი თავისი შეხედულებისამებრ.

6. შეფასების კრიტერიუმები

გამარჯვებული კომპანია შეირჩევა შეფასების კრიტერიუმების მიხედვით:

✓ ფინანსური წინადადება 70%
✓ კომპანიის გამოცდილება 30%

ბანკი იტოვებს უფლებას, სატენდერო პროცედურის დასრულების შემდგომ, გამარჯვებულის გამოვლენამდე, დაგეგმოს შეხვედრები ტენდერში მონაწილე მონაწილე შერჩეულ კომპანიებთან, გასაუბრებისა და შესაძლო დამატებითი დეტალების დაზუსტების მიზნით.